№ 46. 26 ნოემბერს 1871 26 ნოემბერს № 46.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეექვსე.

გაზეთის ფასი

თფილისში და გარეშე ადგილებში:	ბაგზავნით	გაუგზავნელათ:
ერთისს წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2
ერთის თვისა	— 1 —	— — — „ — 75 კ.
ცალკე ერთის ნომრისა		— — — „ — 15 კ.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.; ასო მთავრულებით —ასოზე 1/2 კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქ-შვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ბ. ალექსანდარა შვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან ბაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

შინაარსი

რედაქციის განცხადება.— ურთიერთის სესხის საზოგადოება თფილისში.— საქართველო: „დროების“ კორრესპონდენციები: ქიზიყიდგან,— ბორის-ჯვარიდგან,— ხიდის-თავიდგან,— წვრილი ამბები. — რუსეთი: წვრილი ამბები.— უცხო ქვეყნები:—საფრანგეთი, — გერმანია,— შვეიცარია.—კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სხდომა.— ნარევი.— ბიბლიოგრაფიული განცხადებანები.—

რედაქციის განცხადება

მომავალს, 1872, წელს „დროება“ თავის ძველი პროგრამმისა და მიმართულების შეუცვლელად გამოვა.

გაზეთის ფასი მთელი წლისა ექვსი მანეთი იქნება.

ხელის მოწერა „დროებაზე“ მიიღება თფილისში: გაზეთის კანტორაში, მელიქ-შვილის და კამპ. სტამბაში და

ქუთაისში — ბერასიმე ალექსანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში.)

შარშანდელ ხელის მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფასი ჯერაც არ შემოუტანიათ, უმოკრძალესად ვთხოვთ, რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ.

ურთიერთის სესხის საზოგადოება თფილისში

(Общество взаимнаго кредита)

განათლებულ ქვეყნებში ისეთ ქალაქს ვერ ნახავთ, რომ რამდენიმე სხვა და სხვა საზოგადოებები და ბანკები არ იყვეს გამართული. ყველგან, თვით პატარა ქალაქებში და სოფლებშიაც, ნახავთ თუ სავაჭრო და სამეურნეო ბანკსა, თუ მუშების კასას, თუ მომხმარებელ და თუ მწარმოებელ საზოგადოებებსა. ეს ნაირ-ნაირ საზოგადოებებისა და ბანკების გავრცელება განათლებულს ევროპაში და ამერიკაში ამტკიცებს, რომ ხალხი ამათში სარგებლობას ჰპოებს. მართალია, ამ დაწესებაებში ზოგიერთები ისეთები არიან, რომელნიც ისევ მდიდრებს ამდიდრებენ და მხოლოთ შეძლებულებისთვის არიან გამოსადეგნი; მაგრამ ისეთებიც მოიპოებიან, (მაგ. მუშების კასა და იმათივე მწარმოებელი საზოგაოოებები), რომელნიც პირ და პირ ღარიბ მუშა-ხალხს ეხმარებიან.

ჩვენი დედა-ქალაქი, თფილისი, ერთი შეხედულობით არ ჩამორჩენია უკან ამ მხრით ევროპისა და ამერიკის განათლებულ ქალაქებსა. როგორც იქ, ჩვენს თფილისშიაც არის სავაჭრო ბანკი, მომხმარებელი საზოგადოება და მალე თუ არა, როდესაც იქნება თავადაზნაურობის ბასკასაც მოვეწროებით, არის ქახეთის შემამულეების კამპანია და სხვ. მაგრამ გასაკვირველი ეს არის (იქნება არცკი იყვეს ეს გასაკვირველი), რომ ამ მხრით, როგორც სხვა მრავალი მხრითაც, ჩვენს და განათლებული ქვეყნების ქალაქებს შუა მხოლოთ გარეგანი მსგავსება არის: მაშინ როდესაც ევროპისა და ამერიკის ამ ნაირი საზოგადოებების და ბანკების უმეტეს ნაწილს უბრალო მუშა ხალხი ჰყავს მხედველობაში, ჩვენ ამისთანა საზოგადოებებს და ბანკებს მხოლოთ მდიდრებისთვის და შეძლებულებისთვის ემართავთ. ჩვენი სავაჭრო ბანკით, რასაკვირველია, მარტო ვაჭრები და შეძლებულები ისარგებლებენ; ჩვენს მომხმარებელ საზოგადოებაში თითქმის მხოლოთ ჩინოვნიკები არიან წევრებათ; ჩვენი თავად-აზნაურობის ბანკით ხომ, როგორც ამბობენ, მარტო თავად-აზნაურები ისარგებლებენ. ერთი სიტყვით, ყველგან ცოტათი თუ დიდათ შეძლებულები, და შეუძლო, ღარიბი ხალხი კი არსად, ყველგან გამოსხლეტილია... იმათთვის არც სასოფლო ბანკები სუფევენ, არც ხეირიანი პურის მაღაზიები, არც კასები და არც სხვა არაფერი.

დღეს გვინდა მკითხველთან მოვილაპარაკოთ ერთ საზოგადოებაზე, რომელიც, წვრილ ხალხს თუ არა, მცირე თანხის მეპატრონებს მაინც შეეხება. ჩვენ ვამბობთ „ურთიერთის სესხის საზოგადოებაზე“, რომელიც სდგება თფილისში და რომელზედაც ამ ჟამად აქ ბევრს ლაპარაკობენ.

უეჭველია, ბევრ ჩვენ მკითხველებს არა თუ ის არ გაუგონიათ, რომ ქალაქში ამისთანა საზოგადოება სდგება, იქნება არც კი იცოდნენ — რა არის ეს „ურთიერთას სესხის საზოგადოება?“ ორიოდე სიტყვით აეხსნით ამ საზოგადოების დანიშნულებას:

ყოველგვარ საზოგადოებასა, ბანკსა თუ სხვა რაიმე საერთო დაწესებას ის ჭეშმარიტება უძევს საფუძველში, რომ, რაც უფრო მომეტებული ღონის-ძიება, ფული თუ შრომა შეიკრიბება რომლისამე საქმისათვის, ისე უფრო უკეთ და ადვილათაც გაკეთდება ეს საქმე; ერთი კაცი თავის ღონის-ძიებითა, შრომით და ფულებით ვერც თავის თავსა და ვერც საზოგადოებას ვერასდროს იმდენ სარგებლობას ვერ მოუტანს, იმდენ საქმეს ვერ გააკეთებს, რამდენსაც რამდენიმე შეერთებული პირები გააკეთებენ. ეს ხომ ცხადი ჭეშმარიტებაა. რასაკვირველია, შესაძლებელია და ამას ხშირათაც ვხედავთ, რომ ხანდისხან სხვა და სხვა საზოგადოებებსა და ასოციაციებს ისეთი პირები არდგენენ, რომელნიც შეერთებული ძალითა და ღონის-ძიებით თავიანთი პირადი სარგებლობისათვის არავის ოფლსა და შრომას არა ზოგავენ; ამათ, უეჭველია, ენება უფრო მომეტებული მოაქვთ საზოგადოებისათვის, ვირემ სარგებლობა. მაგრამ ამაზე ლაპარაკს აქ თავი დავანებოთ...

როგორც სხვა ყველა საზოგადოებებს, „ურთიერთის სესხის საზოგადოებასაც“ ესეთი დანიშნულება აქვს. მაგრამ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ამას არც განსაკუთრებითი წოდება ჰყავს მხედველობაში და არც განსაკუთრებითი საქმე; რამდენიმე ამ საქმის თანამგრძნობი პირები შეიკრიბებიან ერთად, შეადგენენ საზოგადოებას, გამოიღებენ, შეძლებისა დაგვარად, ფულსა საზოგადოების თანხად; ვისაც მომეტებული ფულები ტყუილა უწყვია ზანდუკში, საზოგადოებაში შემოაქვს და სარგებელს იღებს და ვისაც სჭირს, სარგებლითვე გააქვს. უმთავრესი განსხვავება ამ საზოგადოებასა და უბრალო ბანკებს შუა ის არის, რომ მიგიღებენ თუ არა წევრათ, იმ წამსვე კრედიტს დაგინიშნენ, ე. ი. რამდენი ვალის აღება შეგიძლია საზოგადოების თანხიდგან. ამოგარჩევენ თუ არა წევრათ, გამოგიცხადებენ, რომ, ესთქვათ, ერთი თუმანი შემოიტანეო; მაშინ ათი ამდენის აღება შეგიძლია ვალათ, ე. ი. ათი თუმნისა. ფულის სესხებაც აქ ბევრათ უფრო გაადვილებულია, ვიდრემ ბანკებიდგან: გირაო რამე თუ გაქვს, იმის წარდგენა შეგიძლია, როცა ფული გამოგაქვს, და თუ გირაო არა გაქვს, შეგიძლია სანდო პირი წარადგინო და იმის თავდებობითაც მოგცემენ ფულსა დანიშნულ ვადამდი და პატარა სარგებლით.

ქარგათ გამართულს „სესხის საზოგადოებებში“ ყოველთვის წესდებულებით დადებულია — რამდენზე მომეტებულის გამოტანა არ შეუძლია წევრსა. უეჭველია, რომ, რაც უფრო ნაკლები ფულების გამოტანა შეიძლება, ისა სჯობია, ამიტომ რომ მცირე ფულების მსაჭიროებლები უფრო მრავალნი არიან, ვიდრემ ბევრისა. საუკეთესო „სესხის საზოგადოებებში“ დადებულია, რომ წევრს ერთი მანეთიდამ დაწყებული ხუთას მანეთამდი შეუძლია შეტანა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველს წევრს ერთი თუმნიდამ ხუთას თუმნამდი შეუძლია გამოიტანოს საზოგადოებიდამ სესხათ, რადგან ათი იმდენის გამოტანის უფლება აქვს, რამდენსაც შეიტანს. ვსთქვათ, დადებულია, რომ წევრათ მხოლოთ ისეთ პირებს მიიღებენ, რომელნიც ათი თუმნიდამ დაწყებული ორას თუმნამდი შემოიტანენ და რომელთაც მაშა სადამე ასიდამ ორი ათას თუმნამდისინ გატანა შეუძლიანთ. მითხარით, ბევრი იღმოჩნდებიან იმისთანაები, რომელთაც ათი თუმნის შეტანა შეეძლოსთ? რასაკვირველია, რომ არა. ამოჩნდება მხოლოთ რამოდენიმე პირი, რომელნიც ამ სესხით ისარგებლებენ და ხალხი კი იმისაგან ენების მეტს ვერასა ნ ხავს. ეს ენება აი საიდგან წარმოსდგება: თუ საზოგადოება ისე იქნა გამართული, რომ ღარიბებს არ შეეძლებათ იქ მონაწილეობის მიღება, მაშინ ისინი იძულებულნი იქნებიან ფულის სასესხებლათ ისევ მდიდრებს, ფულის მეპატრონეებს მიმართონ. ესენი თავის მხრით ამ საზოგადოებიდამვე გამოიტანენ ფულს მცირე სარგებლით და ღარიბებზე კი დიდი სარგებლით გასესხებენ. აი რა ენება შეუძლია მოიტანოს ამ საზოგადოებას, თუ თავიდამვე კარგ, საზოგადო სიკეთისთვის გულ-შემატკივარ კაცებს არ ჩაუვარდა ის ხელში.

არ ვიცით, ჩვენი თფილისის „ურთიერთის სესხის საზოგადოებას რანაირი ბედი მოელის. ამას წინათ გაზეთს „კავკასში“ დაბეჭდილი იყო უფ. შვეიცოვის სტატია, რომლიდგანაც ცხადათ სჩანს, რომ რამდენთამე პირთ განუზრახავთ ამ საზოგადოების შედგენა. ჩვენი მომავალი „სესხის საზოგადოების“ წესდებულებით, (რომელიც ჯერ მხოლოთ ფინანსის მინისტრისაგან არის დამტკიცებული და ახლა სახელმწიფო რჩევაშია,) მხოლოთ ისეთ პირებს მიიღებენ წევრათ, რომელთაც სამი თუმნის შეტანა შეუძლიანთ და რომელთაც მაშა სადამე, სამასი მანეთის კრედიტი ენიშნებათ. მარტო აქედამაც სჩანს — რა ხასიათის მიცემა ჰსურთ დამფუძნელებს ამ „საზოგადოებისათვის.“ მაგრამ ამათი განზრახვა მაშინ უფრო ცხადდება, როდესაც უფ. შვეიცოვის სიტყვებს ეკითხულობთ, რომელიც ამბობს, რომ ჩვენი საზოგადოების მოთავენი მხოლოთ ისეთებს იღებენ წევრებათ, რომელთაც ბევრი ფულის აღება და მიცემა შეუძლიანთ და წვრილი სესხის მსურველებს (სამთუმნიანებს) კი საქმეს უძნელებენო.

ჩვენი ჯერ დაუმტკიცებელი წესდებულების ძალით, საზოგადოების ადმინისტრაციას შეადგენენ: 1) ყველა წევრების საზოგადო კრება, 2) რჩევა, 3) მმართველობა და 4) წევრების მიმღები კამიტეტი. მოვა თუ არა დამტკიცებული წესდებულება, იმწამსვე საზოგადო კრება უნდა დაინიშნოს იმ პირებისაგან, რომელნიც თანაუგრძნობენ ამ საქმეს და წევრები არიან; კრებამ რჩევა უნდა ამოარჩიოს და რჩევა თავის მხრით ამოარჩევს ერთს საზოგადოების მმართველსა და ორს დირექტორს და წევრების მიმღებ კამიტეტს, რომელიც თორმეტი პირისაგან იქნება შემდგარი. ცხადია, რომ ამ საზოგადოების საქმეების წარმოება და მიმართულება ამ საზოგადო კრებაზე და იმისაგან ამორჩეულ კამიტეტზე იქნება დამოკიდებული: თუ კრებაზე ისეთი პირები იქნებიან, რომელნიც მსხვილი კაპიტალისტების უიმისოთაც გატენილი ჯიბეების გატენას არ ეცდებიან, მაშინ, რასაკვირველია, ისინი ისეთ პირებს ამოირჩევენ რჩევისთვინ, რომელნიც წვრილი სესხის მსურველების მხარეს დაიჭერენ. ყოველი პატიოსანი და კეთილ-გონიერი კაცი უნდა ეცადოს ამ შემთხვევაში, რომ სქელ-ჯიბიანებს ახალი ღონისძიება არ მიეცეთ სხვისი შრომითა და ფოლით სარგებლობისა.

ამ საგანს შემდეგში ჩვენ კიდევ მოუბრუნდებით.

საქართველო

ქიზიყიდგან.

(„დროების“ კორრესპონდენცია)

დღეა და საათის ათი, რომ მე სოფელს ფანიანში დ. მღვდლის ბეგიევის სახლში ვიმყოფები. მას თავის საკუთარს ორ ეტაჟიან სახლში აქვს გამართული ერთ ოთახში შკოლა. ეს შკოლის ოთახი რიგიანათ არის მოწყობილი: ზიგა სდგას ოთხი ყმაწვილების ჩამოსასხდომი სკამები და შუაზე სტოლი თავისი სკამით მასწავლებელისათვის. მასზე არის გადაფარებული კლიონკა და აწყვია შკოლის დავთარი და შკოლისთვის საჭირო წიგნები.

ამ შკოლის გარდა ქიზიყის წინა მხარში სხვა შკოლებიც არიან. სულ შვიდია: ერთი ფანიანშია, მეორე ბოდბის-ხევში, მესამე ფაქრში მეოთხე ზემო-მაჩხაანში, მეხუთე მალარიში, მეექვსე ყარდენახში და მაშვიდე ბურჯაანში. ესენი ყველანი დაფუძნებულნი არიან მთავრობის შემწეობით; მაგრამ ყველანი კი ერთ დროს არ არიან გახსნილნი. არიან ამის გარდა

სიღნაღის მაზრაში კიდევ შკოლები, მაგრამ მე ქიზიყის წინამხრის შკოლებზე ელაპარაკობ, რადგან მე შემიძლიან მხოლოდ ამათ მოეხვდე. ამათი საფუძველი ეგონებ 1853 წ. იწყობა; მაგრამ შანიანის შკოლა არსებობს 1860 წლიდგან.

ამ შკოლებში ფყოფი მასწავლებლები, მღვდლები, რადგან მთავრობის შემწეობით არიან ისინი გახსნილნი, ყველანი იღებენ ოცდა ათ თუმნამდი ჯამაგირს. ჯამაგირი თუმცა ხაზინიდგან ეძლევათ, მაგრამ ეს ფული სოფლებზე იკრიფება. ამ ფულიდგან იმათ უნდა იყიდონ წიგნები შაგირდებისთვის, სახლი იქირავონ შკოლის სამყოფათ, მოსამსახურე დაიჭირონ, ქალალდი იყიდონ და სხვანი. მაშასადამე ჯამაგირიდგან ამათ მაგდენი არა დარჩებათ რა, და ნამდვილია, რომ, საცა სარგებლობა არ არის, იქ საქმეც რიგიანათ ვერ წარმატებს. ჩვენში მაინც ჯერ საზოგადოება განათლების იმ ხარისხზე არა სდგას, რომ ამ გვარი კეთილი საქმისთვის, ეითარიც არის ხალხის განათლება, თავიანთი პირადი სარგებლობა დაეიწყონ.

ამ შკოლებში მასწავლებლები თუმცა ყველანი სემინარიაში კურს შესრულებული მღვდლები არიან და ჯამაგირი ეძლევათ, მაგრამ მათში ყველგან სწავლა სეინიდისიანათ მიდის თუ არა, მე არ ვიცი. ხალხს ფულები უსარგებლოთ ეკარგება, თუ მოაქვს იმას რამე სარგებლობა, მე ამისი თქმა ყველა აქაურს შკოლებზე არ შემიძლიან, რადგან მე არ მინახამს ისინი. მე მხოლოდ ამჟამად შანიანის შკოლა ვნახე.

მაგრამ მე ნავდვილი წყაროდგან შეეიტყე, რომ ამ შკოლებში ერთი შკოლა ესე იგი ბოდბის-ხევისა, ჰსურთ რომ საეკლესიო გლეხ-კაცის შვილებს გაუსაკუთრონ. ხოლო საეკლესიო გლეხ-კაცები ცხოვრებენ ქიზიყის წინამხრის ოთხ სოფელში: ბოდბეში, ბოდბის-ხევში, ქედელში და ასანურში. მთელი ამ სოფლის მცხოვრებლები ეკკლესიის ყმები არიან. ვისაც კი აქ გლეხთაგანსა ჰსურს, რომ შვილს წერა-კითხვა ასწავლოს, ბოდბის-ხევის შკოლაში უნდა გამოგზავნოს. ვისაც ჰსურს ამ გვარი გარჩეული თოხუმური შკოლა საეკლესიო გლეხ-კაცის შვილებისთვის, იმას თხოვნა ეხლა შეუტანია, მაგრამ მისცემენ ამის ნებას თუ არა, ეს არ ვიცით. შეეჭველია კი, რომ მის ნების დართვა სასარგებლო არ იქნება: როგორ შეიძლება, რომ ამ სოფლებიდგან, რომელნიც ერთმანეთზე არიან შორიშორს, გლეხ-კაცის შვილები ბოდბის-ხევში მოიკრიფნენ სწავლისთვის? ამას ხომ ხარჯი და ჯაფა მომეტებული მოუნდება. ამ მეტს ხარჯს და ჯაფას ყველა გლეხი-კაცი იმას არ ირჩევს, რომ ან სრულებით შვილს არ ასწავლოს, ან კიდევ რომელიც მახლობელი შკოლაა იქ მისცეს შვილი სასწავლებლად?! ეს განზრახვა, ჩემის აზრით, არავითარ სარგებლობას არ მოუტანს ხალხს და ამისთვის სალაპარაკოთაც არა ღირს. მაშ თუ ასეა, ნუღარ გავავრცობთ ჩვენს საუბარს ამაზე; მივაქციოთ ყურადღება შანიანის შკოლას, რადგან ის მე ვიცი, და ამაზე ვიტყვი ორიოდე სიტყვას, თუ რას და როგორ ასწავლიან ქართველ ყმაწვილებს შანიანის შკოლაში და შეუძლიან იმას რამ სარგებლობა მოუტანოს თუ არა?...

შანიანის შკოლა ახლა 12 წელი მიდის, რაც არსებობს. აქ სწავლობენ ოთხი სოფლის: შანიანის, ქედმო-მაჩხაანისა, ტიბანისა და ზურჯაანის გლეხ-კაცის შვილები. ამ ოთხ სოფელში სულ მცხოვრებნი იქნებიან ხუთას ორმოცდა ათ კომლამდე. მაგრამ შკოლაში სწავლობს ამ ჟამად ოცდა ხუთი ყმაწვილი. ეს რიცხვი, რასაკვირველია, ხუთას ორმოცდა ათ კომლზე ძალიან ცოტაა. რა მიზეზისა გამო ასე ცოტანი სწავლობენ გლეხ-კაცის შვილები დაწვრილებით ჩვენ არ ვიცით. ვიცით მხოლოდ ისა, რომ ყველაზე ცოტა ამ სოფლიდგან მოდიან შკოლაში ქვემო-მაჩხაანიდგან. ამბობენ, რომ ურთიერთის შურისა და მტრობის გამო, რატომ შკოლა ჩვენ სამრეველოში არ არისო, ზოგიერთი სულიერი მამები არ ურჩევენ გლეხებს შკოლაში შვილების გაგზავნას. ნუ თუ ეს მართალია?

მასწავლებელი ამ შკოლისა, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, მღვდელი დ. ბეგიევი არის. ეს მღვდელი, თფილისის სემინარიაში კურსის შესრულების შემდეგ, თელავის სასულიერო სასწავლებელში ორ წელიწადს მასწავლებლათა ყოფილა. აი რა გვარად მიდის ამ შკოლაში სწავლა:

ყმაწვილები სხედან და წინ სტოლზე გაშლილი აქვთ წიგნები. რომელთაც კითხვა იციან, იმათთვის გაკვეთილი აქვს დანიშნული; იმას ისინი კითხულობენ და მერე წაკითხულის შინაარსს უამბობენ მასწავლებელს. ხოლო რომელთაც არ იციან კითხვა, იმათ კიდე ანბანს და კითხვას ასწავლის, საუბედუროთ, მამაპაპურს კილოზე, ძველს მეტოდაზე. მაგრამ შაგირდები მაინც კარგათ გარკვევით ჰკითხულობენ ქართულს და ცქვიტად ხსნიან წაკითხულსა.

შესანიშნავია, რომ ყველა შაგირდებს ეტყობათ საშინელი ფერმკრთალობა და ჟუჟუნა თვალებში რაღაცა გაქელილობა და ნაღველი. ეტყობათ, რომ გლეხურ საწყალ ცხოვრების ტალღას შემოუკრავს მათთვის თავისი ფრთა და ისინი ამისთვის მოწყენით არიან. მე რომ ეს შეეატყე მათ, ვისურვე მათი გამხიარულება. ჩემთან ერთი ეკზემპლიარი „სიბრძნე-სიცრუვის წიგნისა“ იყო. ის მე მოვითხოვე და მათ წაუკითხე იმაში რამდენიმე ზღაპარი. მათ ძალიან ესიამოვნათ: ყველას პირის-სახეზე სინათლემ გადუარათ—და ერთმანერთს პირში უყურებდნენ და სიყმაწვილის უმანკოებით იცინოდნენ, მეტადრე მე რომ წაუკითხე ის ზღაპარი, რომელიც გეიამბობს, თუ რა გვარათ ერთმა გლეხმა კისერი მოიკვეთა ცელით, ოდეს ის ცხენიდგან იმას აბჯენდა მიწაზე საბალახოს მიჯნის დასანიშნავათ. თურმე ეს ზღაპარი ამათაც სცოდნიათ. ქიზიყში იმას ბოდბელ კაცს მიუწერენ. ბოდბელები ამათში მაინც შესანიშნავნი არიან თავიანთ აჯამობით: აქ ყოველი სასაცილო ზღაპარი იმათ მიეწერებათ. შემდეგ სიცილისა მე ვთხოვე იმათაც თავიანთ მხრით ჩემთვის რამე ეამბნათ. იმათ ერთმანერთს გადაავლეს თვალი და მერე ერთმა დაიწყო თხისა და მელიას ანბავის ნბობა, რომელთაც საზიაროთ ყანა დათესეს და მერე კი გაყოფის დროს უთანხმოება მოუვიდათ; რისა გამო მელამ თავის საბუთის გასატარებლათ წავიდა და მგელი მოიყვანა, და ვიდრე ის მოვიდოდეს თავის მგლით, თხამ კიდე ორი ქოფაკი ძაღლი ბზეში დამალა, რომელნიც იმათ მოსვლის უმალვე წამოუხტნენ და ისე გახადეს მელია თავის მოწამითურთ, რომ შარშანდელიც დაეიწყეს, არამც თუ წლევანდელი ეშოვნათ. ეს ამბავი მე შეევადარე წარსულ დროების ბატონ-ყმების ერთმანერთზე დამოკიდებულებას და მათს სამართალს. ხოლო მოწმები კიდე ზოგიერთ ეხლანდელს ადვოკატებს. ამაზე იმათ სიცილი დაიწყეს და ჩუმათ ყურში რაღაცა უჩურჩულეს.

პირველ გაკვეთილის შემდეგ იმათ დააწყებინეს არითმეტიკის სწავლება. ოჩრს ძათგანს კვირცხლად გაჰქონდათ მასწავლებლისთვის ანგარიშის მისაცემათ ჩოტკის თხილები. სხვებმა კი საშუალოთ იციან ანგარიში. მაგრამ მაინც და მაინც ჩემზე ამ შკოლამ კეთილი აზრი და შთაბეჭდილება აღძრა მასწავლებელზე. ეტყობა, რომ ის სხვებსავით მარტო ხალხის ფულის ყლაპვას არ ცდილობს. ეს კაცი ფულსაც იღებს ხალხის ჯიბიდგან და საქმესაც კეთილ-სეინიდისიანათ ასრულებს. ღმერთმა ბძანოს, რომ ამ გვარი კეთილ-საიმედო და ხალხისთვის გულ-შემატკივარი კაცნი ჩვენში ბევრნი დაიბადნენ, რომ მას, განათლების გავრცელებით, მწუხარების ცრემლი მოსწმინდოს და უმეცრების ფარდა, პირზე ჩამოფარებული, ჩამოხსნას.

მაგრამ ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო ის იყო, რომ ეს ყმაწვილები მშვენიერად გალობდნენ. თავიანთ ნაზის ხმით ცხრა ყმაწვილი ერთად გალობდნენ ეკკლესიურს გალობებს, ისეთ ნაირათ, რომ მათ ხმაში ისეთი ჰარმონია და ხმის შეწყობილება ისმოდა, რომ მე გაკვირვებული შევეცქეროდი იმათ ფერმკრთალ პირის სახეს და ჟუჟუნა თვალებს. ბალობას მღვდელი არ ასწავლის, მის მასწავლებელი არის ერთი დათხოვნილი პრიჩეტნიკი, რომელიც სხვა შკოლებშიაც ასწავლის გალობას. მაგრამ სამწუხაროა, რომ მხოლოთ ეკკლესიურ გალობაზე აქვთ ყურადღება: ყოველი მხრით საქებარსა და სასარგებლო საქმეს იზამდენ ჩვენი მასწავლებლები, რომ სახალხო შკოლებშიაც ხალხურ სიმღერაებს ასწავლიდნენ.

ამ შკოლისაგან საზოგადოებისთვის მიცემული სარგებლობა, რასაკვირველია, სათქმელი არ არის; მაგრამ ჯერჯერობით იმას მოაქვს თავისი ნაყოფი. და რადგან ჩვენში მცირედი ღვაწლიც საზოგადოების სასარგებლოთ ქმნილი კერძო პირის მიერ, შესანიშნავია, საქებია და საკვეხია, ამისა გამო მე უნდა ვსთქვა, რომ სიღნაღის მაზრაში მყოფი სასოფლო შკოლები ქართველთა საზოგადოებას სიკეთეს უშვრება იმ მხრით, რომ მის საზოგადო ცხოვრებას აცხოველებს, აჩაღებს, და დავრდომილ ქართველებს შეძლებისამებრ, ხელს უმართავს და აწვდის, რომ ფეხზედ წამოაყენოს. მაგალითებრ, სოფელს ჯუგაანში მცხოვრებთა გლეხ-კაცის შვილები, ამ შკოლაში ნასწავლნი, რვანი ვაჭრობენ, ზოგნი სოფლებში, ზოგნი ქალაქში და გვიღონივრებენ საშუალო წოდებას; გარდა ამისა სამნი ფანიანელები ვაჭრობენ შიგ სოფელშივე და ოთხიც ქვემო მაჩხანელები. აგრეთვე ამ შკოლიდგან გამოსულნი ოთხნი პრიჩეტნიკობენ. მაგრამ ამათ გარდა არიან კიდევ სხვანი მრავალნიცა. სულ შკოლის დაარსებიდგან მოკიდებული ვიდრე აქამდე ამ შკოლაში ნასწავლნი იქნებიან ას ორმოცდა ათზე მეტი. თუმცა ამათ ნიჭი ხელს უწყობდა სწავლის გასაგრძელებლათ, მაგრამ იმათ, თავიანთ დედმამის შეუძლებლობისაგამო, შეუწყვეტიათ თავიანთი სწავლა და მიჰყოლიან ხვნათესველობას. ამათი უაღრესობა სხვა უსწავლელ გლეხკაცებზე ის არის, რომ მათ უფრო კარგათ ესმით საზოგადო სოფლის საქმეები და იმათზე უფრო მომეტებული პატივი აქვთ და ცხოვრებაც უფრო უკეთ ესმისთ. ერთის სიტყვით, ესენი ხდებიან ამ ჟამათ ჩვენ ბნელ საზოგადოებაში ცხორების ხეთ და ციცნათელათ. თავიანთი ჭკუის უაღრესობისა ძალით, ესენი ძველს უსწავლელ თაობას აცლიან ცხოვრებას და მით ამკვიდრებენ ხალხსნურ ღონეს. იმედია, რომ ეს ახალი თაობა დროების განმავლობაში გაღონიერდება და ახლა ღარიბს სიღნაღის მაზრის მცხოვრებლებს გაამდიდრებს, გააღონიერებს, გაალვიძებს, და დააყენებს ფეხზე თავიანთ შეცილებით ვაჭრობაში უცხო ტომთ კაცთათვის.

ინგილო ჯანაშვილი.

ᲮᲘᲓᲘᲡ-ᲗᲐᲕᲘᲓᲒᲐᲜ.

(„დროების“ კორრესპონდენცია.)

ჩვენს დაბალ ხალხს ჯერ კიდევ კარგათ არ ესმის და ამისათვის დამტკიცებული არ არის იმაში, რომ ყოველივე ბედნიერება წარმოსდგება სწავლისაგან. ზოგიერთა ჩვენ გლეხებს ჯერაც ისე გონიათ, რომ სწავლა ბავშვებისთვინ ჩილიკში თამაშობაა. ჩვენ სამწუხაროთ, ამ ნაირ შეხედულობას სწავლაზე ხშირათ შეხვდებით, თუ კი მოინდომებთ. თუმცა ზოგზოგ ადგილას გახსნეს სასოფლო შკოლები, მაგრამ ამ შკოლებს ჩვენი ქართველები სხვანაირათ უცქერიან. ესენი ამათში ჯერობით სარგებლობას არა ჰპოებენ; შვილებს სასწავლებელათ აძლევენ, მაგრამ უმადურათ და საქმის სარგებლობის უცოდინრათ *).

ძრიელ შეგვაწუხა ჩვენ იმ ამბავმა, რომ ს. ხიდის-თავში, სადაც, როგორც გავიგეთ, საქმე გონიერულათ მიჰყავდა მ. ბიორგი ქარიჯოვს, სასოფლო შკოლა დაკეტილა, რადგანაც ამ სოფლის მცხოვრებლებს შვილები აღარ მიუყვანიათ სასწავლებელში. ბულმტკივნელათ შემოგვჩიენლა ამ მასწავლებელმა, რომ ხიდის-თაველებში დაეარდა ხმებია, რომ ვინც რუსულს ისწავლის, ისინი თავის სახლ-კარს მოშორდებიანო....

ხიდის-თაველები სწავლას რომ მისდევდენ და ქართულ გაზეთებს კითხულობდენ, ადვილათ შეიტყობდნენ იმას, რომ უშკოლობით იმათ არაფერი არ ასცდებათ და შემატებით კი ბევრი შეემატებათ. ეს ამბავი და გარემოება რომ კარგათ გაეგოთ ხიდისთაველებს, რასაკვირველია, ერთი შკოლის დაკეტის მაგივრათ, მეორესაც გახსნიდნენ, რადგან ისეთ დიდ სოფელში, როგორიც ხიდის-თავია, ორი შკოლაც მომეტებული არ იქნებოდა. პირველ შკოლაში სოფელს სამოც თუმნამდი დახარჯვია, ჩინებული ქვით-კირის ოთახი აუშენებია და შვილები კი აღარ მიჰყავთ. მეტიღა უგუნურება იქნება! აქ კარგათ შემძლებლები არიან ხლეხ-კაცები და ზოგნიც ისეთები იპოებიან, რომ, ავსტრიის ნემცებისა არ იყვეს, ხელმწიფეს დაპატიჟება არ გაუჭირდებათ. ისეთი ევროპიულათ მოწყობილნი გლეხ-კაცები არიან აქა, მართლაც გიამებათ, რომ ეწვიოთ. მაგრამ თუ ესეთი შეძლებული სოფელი ჰკეტს თავის შკოლას—სხვებმა რაღა უნდა ჰქნან?! ჩვენ გვგონია, აქაურებს ძრიელ ადვილათ შეუძლიანთ, რომ კარგათ მომზადებული ახალგაზდა მოიწვიონ ქ. თფილისის სასოფლო მასწავლებლების მოსამზადებელ შკოლისაგან, დაუნიშნონ ჯამაგირი და ჩააბარონ აქაური შკოლა.

მ. ბიორგი ქარიჯოვი გულმოდგინეთ შემდგარია იმ საქმეზედ, რომ აქ შკოლა ისევ მალე გაიხსნას; ეს ისეთ ღონის-ძიებას ხმაროობს, რომ უთუოთ აასრულებს თავის სურვილს. ხიდის-თაველებიც მალე გაიგებენ, მგონია, რომ შკოლა, სარგებლობას თუ არა, ვნებას არავითარ შემთხვევაში არ მოუტანს იმათ. . . . . თუ მალე გაიხსნა ისევ აქ შკოლა, ჩვენი მეორეთ იქ სტუმრობა თქვენთვინ უცნობლათ არ დარჩება. ეხლა კი, გთხოვეთ, მოისმინოთ ერთი სასიამოვნო ამბავი:

ამ წინაწედ ქ. ბორში ერთმა იმერელმა ჩამოიყვანა შვილი აქაურ სასწავლებელში მისაბარებლათ. მე შევხვდი ამ იმერელს და დაწვრილებით გამოეკითხე საქმე; გავიგე, რომ ამის შვილი სწავლობდა ყვირილის სასოფლო შკოლაში, რომელიც მ. ღამბაშიძეს გამგეობაშია. მე შინდოდა გამომეცადნა—თუ რა უსწავლია სოფლის შკოლიდგან გამოსულს შაგირდს. ვნახე, რომ ამ პატარა განათლებულმა კარგათ იცოდა რუსული ლაპარაკი, წერა-კითხვა, არითმეტიკა, საღვთო ისტორია და სხ. და ტკბილის ხმით ღიღინი დაიწყო ლექსებისა „ჩონგურიდგან“. ეს ჩემი ნაცნობი პატარა იმერელი მარჯვეთ არის ბორის საერო სასწავლებელში და ამ წინაზედ სიხარულით მითხრა, რომ ის პირველ კლასში „სტარშათ“

*) შევნიშნავთ პატივცემულ კორრესპონდენტს, რომ ეს მთელ ქართველ გლეხ-კაცობაზე არ ითქმის; ყველანი ამ ნაირი თვალებით არ უყურებენ სწავლას და თუ სადმე ხალისით არ შეჰყავთ შვილები შკოლებში—ამის მიზეზი ერთი მხრით ის ხმებია, რომელნიც დავარდნილა ზოგან ჩვენ სოფლებში და მეორე მხრით—თვითონ ჩვენი გლეხ-კაცობის სისაწყლე. რედ.

დააყენეს და „პიატებს“ უსვამენ. მართლა? Ვკითხე მე. „ძი, ბატონო! ᲐᲮლა ლათინურათ ესწავლობო, დაუმატა იმან. Iქნება, ხიდის-თავის შკოლა რომ დაკეტილი არ იყვეს, ამ პატარა იმერელისებ გაწვრთნილი შაგირდები აქაც მენახა.

ᲮᲘᲓᲘᲡ-ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ.

Ს. ᲮᲘᲓᲘᲡ-ᲗᲐᲕᲘ
ნოემბრის 10 1871 წ.

ᲒᲝᲠᲘ-ᲯᲕᲐᲠᲘᲓᲒᲐᲜ

(„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ კორრესპონდენცია)

ᲐᲘ ესᲔრთი კვირაა, რაც მლოცავებითა და მსხვერპლებით საესე ურმებმა დაიწყეს დენა Gორი-ჯვარს. ᲐᲘ ის საღამოც, რომელსაც დიდი ხანია მოელოდნენ Gორი-ჯვრის მლოცავები: ეკკლესიის გარეშემო ფერდობაები საესეა გადაკმარებული ურმებითა; ყველა ურემთან ანთია ისეთი ცეცხლი, რომ Gორიდგან დაინახოს კაცმა, ეგონება Ამერიკის პომპოსები იწვისო, აქ არი ერთი გამოუთქმელი ხაოსი ხალხისა და პირუტყვებისა, მათი ყვირილისა და ბღავილისა. Sწორეთ Gაბილონის არევის სურათს ჰგავს ეს კარტინა თავის გარეგანი შეხედულობითა! Eკკლესიის გალავანი, ოთახი და თითონ ეკკლესიაც საესეა მლოცავებითა, რომელთაც გააქვთ ერთი ყოფა და მსხვერპლებითა: ხორცითა და ფაშფუშ-ნაწლეევითა, და სხვა უწმინდურებითა...

ᲐᲘ ლოცვისათვისაც დარეკეს; ხალხი უფრო გაბლომავდა ეკკლესიაში და გალავანშიაც; Mსხვერპლი: ფული, ღვინო, ᲑᲣრი, მატყლი, ერბო, თაფლი ურიცხვი მოაქვთ; საწყალი მოხუცებული სტაროსტა და დიაჩოქები ვერ ასვლიან დამწყალობლობას და წმინდა წყლის დარიგებას. რაღაც ხმა და წივილ-კივილი გვესმის ეკკლესიის გალავანში.... Eრთ ლამაზ გასათხოვარ ქართველ ქალს გული შეუწუხდა, დაეცა და თავპირი დაიმტვრია. Mკითხავთ—რათა? რათა? Mათა რომ საწყალმა მთელი ნახევარ საათი ერთი რაღაც რკინის ჯაჭვი, სიმძიმით ორი ფუთი, თუ მეტი არა ნაკლები აღარ იქნებოდა, კისერზედ და მხრებზედ შემოხვეული ეკკლესიის გარეშემო ატარა...

ლოცვაც გამოვიდა. Yველანი ეახშმის თავდარიგს შეუდგნენ... Zოგმა კიდეც დაიბანაკა შიგ ეკკლესიაში და გალავანში სადაც სუფრა გაშალეს თავის დროს, ჩიბუხები და ᲰᲐპიროეზბიც გაიჩაღეს შიგ, თავის დროს ზურნა და ტლინკვაც იყო. Aმნაირი ლოცვა და ლხინი ერთად არეული, ამნაირი ყოფა რამდონსამე დღეს გრძელდება ყოველ წელიწადს Gორი-Jვარს. ᲮᲐᲚᲮᲘ ყოველთვის ბლომათ იკრიბება აქ ახლო-მახლო სოფლებიდამ და ხან შორეულებიც...

Yველი ესე, უფ. რედაქტორო, განა ზოგიერთ ძველ დროების და კერპთ-თაყვანის-მცემელების ჩვეულებებს არ მოგაგონებთ?!...

Ჯ. Ზ.

Gორის-ჯვარი, ნოემბრის 9.

Mისი Iმპერატორებითი Uმაღლესობა ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ ნოემბრის 9 (21) ნეაპოლში (Iტალიაში) მიბრძანებულა.

* * *

Eრთს რუსულ გაზეთში („ᲮᲛᲐᲨᲘ“) სწერენ, რომ ხელმწიფე Iმპერატორის ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ მოგზრძანების სახსოვრად, მოსჭრიან მედალს, რომელსაც ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘᲕᲔ მოსამსახურე პირებს დაურიგებენ.

* * *

Aმავე გაზეთს გაუგონია, რომ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ Aქეთა მხრის სამოქალაქო მმართველობა 1872 წლის ხარჯისათვის 5,783,099 მანეთის სმეტის დამტკიცებას თხოულობს.

* * *

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

Oდესიდამ მოგვიეიდა ამბავი, რომ იმ არეულობის გამოისობით, რომელიც წარსული თვის დამლევს მოხდა იქაურს უნივერსიტეტში, ხუთი სტუდენტი გამოურიცხავთ, და ამათში ერთი ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘდამ არისო. „მოსკოვის Uწყებებში“ დაბეჭდილია 5 ნოემბრიდგან გამოგზავნილი კორრესპონდენცია, რომლიდგანაც ეტყობულობთ, რომ უნივერსიტეტის სასამართლომ, ხუთი კი არა, სამი არეულობის მოთავე სტუდენტი გამორიცხაო: ერთი ერთი წლის ვადით და დანარჩენი ორი სამუდამოთ, მაგრამ ამ ორთა სხვა უნივერსიტეტში შესვლის უფლება ექნებათ. როგორც ჩვენ შეეიტყეთ, სულ ორმოცი სტუდენტი ყოფილა სამართალში მიცემული. Oვითონ უნივერსიტეტის გახსნაზე რუსულ გაზეთებში არაფერს არ იწერებიან.

* * *

Aმ თვის პირველ რიცხვებში ყოფილა უკანასკნელი სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც ბეჭდვის კანონების გადახედვა აქვს მინდობილი. Aხლა ამ კომისიამ თავის აზრი სახელმწიფო რჩევას უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად. „პეტერბურღის Uწყებებს“ გაუგონია, რომ კამისიის გადაწყვეტილებით, სხვათა შორის სასულიერო ცენზურის მდგომარეობა უნდა შეიცვალოს, ისე რომ შემდეგში სასულიერო წიგნებისა და თხზულებაების ცენზურა საერო ცენზურასთან შეერთდება. Aმას გარდა უცხო ქვეყნებიდამ მოსული წიგნების ცენზურაც შეიცვლება. შეიცვლება თუ არა პროვინციალური ბეჭდვის მდგომარეობა—ამაზე კიდევ არაფერი არ ისმის..

* * *

ნოემბრის 10-ს პეტერბურღში წერა-კითხვის Kამიტეტის სხდომა ყოფილა. Aმ სხდომაზე თავმჯდომარეს, უფ. Eრმაკოვს, წარუდგინა ერთი თვის (ოქტომბრის) ანგარიში, რომლიდგანაც ეტყობულობთ, რომ ამ დროს განმავლობაში Kამიტეტისათვის სხვა და სხვა პირებს 7,643 სახალხო წიგნი შეუწირავთ, და თვითონ კამიტეტს 8,155 წიგნი მუქთად დაურიგებია ღარიბი ხალხისათვის. Eს რიცხვები ჩვენდა აუხსნელადაც ცხადათ უჩვენებენ მკითხველს—თუ რა სარგებლობა მოაქვს ამ Kამიმიტეტს ხალხისათვის. —Aმ კამიტეტშივე იყო ამას წინათ სხვათა შორის იმაზე ლაპარაკი, რომ რუსეთის გამოჩენილის პოეტის, პუშკინის, თხზულებები სახალხოთ გამოესცეთ და ზოგი იაფ ფასათ გაეყიდოთ და ზოგი მუქთად დაურიგოთ ხალხსაო. Kამიტეტმა გადაწყვიტა მაშინ, რომ ეკითხოთ უფ. Iსაკოვს, რომელსაც პუშკინის თხზულებების გამოცემა ეკუთვნის—მოგვცემს ის ამ გამოცემის უფლებას, თუ არაო. Uფ. Eრმაკოვმა მოახსენა ახლა კამიტეტს, რომ Iსაკოვი ამის ნებას არ გვაძლევსო. Aმავე სხდომაში კამიტეტს ᲰᲥᲝᲜᲘᲐ მოლაპარაკება იმ საშუალებაზე, რომლითაც უფრო ადვილათ შეიძლება ხალხში წიგნების გავრცელება. Gადაწყვიტეს, მმართებლობას ვთხოვოთო, რომ იმ პირებს, რომელნიც სახალხო წიგნებით ვაჭრობენ დუქნებში, ან ზურგით დაატარებენო, ნურც მმართებლობა და ნურც ქალაქი ნურაფერს ნუ გადაახდევინებსო, რადგანაც მაშინ წიგნები უფრო გაიაფდებაო და ხალხსაც იაფი წიგნების ყიდვა უფრო შეეძლებაო.

* * *

რამდონიმე წელიწადია მას აქეთ, რაც ერთმა ამერიკელმა მოიგონა გასქელებული რძის კეთება. Eს რძე Oფილისშიაც მოაქვთ და გირვანქა ექვს აბაზათ ისყიდება. Iს იმ ნაირათაა გაკეთებული, რომ ერთი კოვზი რომ ჩაუშვა ჩაიში, გალღვება, და ჩაის სიტკბო და რძიანი ჩაის გემო მიეცემა. Aმ წინაზე Iაროსლავის გუბერნიის ეროვნებამ გაგზავნა უფ. Eინოგრადოვი Aმერიკაში ამ რძის კეთების სასწავლებლათ. Mაგრამ ვერაფერი ვერ ისწავლა, რადგან ეს ამერიკელი საიდუმლოთ ინახავს თავის ოსტატობას. Aხლა „Bირჟის Uწყებებიდამ“ ეტყობულობთ, რომ უფ. Eერესჩაგინი მიმხვდარა ამ ოსტატობას და თვითონაც (რუსეთში) ამზადებს თურმე შესქელებულ რძეს. Sამხედრო სამინისტროში გამოუცდიათ და შეუდარებიათ Aმერიკაში და რუსეთში (Eერესჩაგინისაგან) გაკეთებული რძე და დარწმუნებულან, რომ Eერესჩაგინის რძე, თუ სჯობია თუ არა, უკან არ ჩამოუდგება თურმე ამერიკელ რძესა. რძე ისე კეთდება, რომ რამდენ ხანსაც გინდა, იმდენ ხანს შეინახება და არ წახდება. Oვითონ მკითხველი მიხვდება, რომ ეს ახალი მოგონება ბევრ სარგებლობას და სიამოვნებას მოუტანს ხალხსაც და იმ პირებსაც, რომელნიც რძიან ჩაის შეჩვეულნი არიან.

* * *

Pეტერბურღის ტიპოგრაფიების მუშებს (ასოამწყობლებს თავის საკუთარი ბანკი (კასა) აქვთ, რომლიდგან ისინი გაჭირვების დროს სარგებლობენ. Sტამბის პატრონები და ზოგიერთი მწერლები ხელს-უწყობენ ამ კასას თუ ფულების შეწირვითა და თუ დარიგებით. Eრთს იქაურს პროფესორს ამ კასის სასარგებლოდ ამ თვის დასაწყისში რიმდონიმე საპუბლიკო ლექცია წაუკითხავს პეტრე Dიდზე.

* * *

Sამარაში ამ მოკლე ხანებში სამასწავლებლო სემინარია გაუხსნიათ. Gახსნისა თანავე 74 ახალგაზდა კაცს, თუ პედაგოგიური კურსებიდამ და თუ სხვა საშუალო სასწავლებლებიდამ, გაუცხადებიათ ამ სემინარიაში შესვლისა და სახალხო შკოლების მასწავლებლებად მომზადების სურვილი.

* * *

Aმას წინათ ვაცნობებთ მკითხველებს, რომ პეტერბურღის ახლოს გახსეს ისეთი სამეურნეო კალონია, სადაც მცირეწლოვან დამნაშავეებს წერა-კითხვას, მეურნეობას და სხვა ერთს რასმე ხელობას ასწავლიან. Aმისთანა კალონიის გახსნას, როგორც ერთ რუსულ გაზეთში იწერებიან, Sარატოვშიაც აპირებენ ახლა. Iქაურ სასამართლოების წევრებს და ნაფიც მსაჯულებს (რომელნიც გლეხებიდგან არიან ამორჩეულნი) ამ კეთილი საქმისთვის ორასი მანეთი შეუწირავთ; ამას გარდა ორასი მანეთიც ერთ იქაურ ვაჭარს შეუწირავს; დანარჩენს ხარჯს თვითონ ეროობა და მმართებლობა იკისრებს და ამნაირათ მოკლე ხანში კალონია გაიმართება სადმე Sარატოვის ქალაქს ახლოს.

* * *

Wარსული თვის დამდეგს Mისი Iმპერატორებითი Uმაღლესობა დიდი მთავარი Aლექსი Aლექსანდრეს ძე წაბრძანდა ზღვით Aმერიკაში. ნოემბრის 9-ს ის ნიუ-Iორკში მიბრძანებულა და, როგორც გაზეთებში იწერებიან, დიდი ამბითა და თანაგრძნობით მიუღიათ როგორც იქაურ ხალხს, აგრეთვე მმართებლობას. Gამოჩენილ ღენერალს, Dიკსს, უთქვამს იმისთვის შესხმა, რომელშიაც Dიდი მთავრისათვის მოუხსენებია, რომ „Uენ ხარ ჩინებული იმპერატორის Uვილი, რომელმანც მრავალი რამ მოიქმედა ცივილიზაციისათვისო“. Mისს Uმაღლესობამ დაუმადლა ღენერალს და უთხრა, რომ „რუსეთსა და Aმერიკის Uეერთებულს Uტატებს Uუა ისეთი მეგობრობითი განწყობილება არისო, რომ იმას ვერაფერი ვერ Uეარყევსო.“ მეორე დღეს Dიდი მთავარი, პრეზიდენტის Gრანტის სანახავათ Uაშინგტონში უნდა წაბრძანებულიყო.

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

Sაფრანგეთის გაზეთებსა და საზოგადოებას ამ ჟამად უმთავრესი ყურადღება ორ საგანზე აქვთ მიქცეული: პირველათ იმ წიგნზე, რომელიც Tიერმა ამას წინათ Uულ-Uანეს მისწერა, რომელშიაც გამოცხადებული იყო „ამ მოკლე ხინში საფრანგეთის Sატახორ-ᲥᲐᲚᲐᲥᲐთ ისევ პარიჟი გახდებაო,“—და მეორეთ Gამბეტას სიტყვაზე, რომელიც იმან Sენ-Aენტენში წარმოსთქვა.

Mონარხიის მომხრეებსა და საზოგადოთ ყველა კონსერვატორებს ძალიან ეშინიანთ პარიჟისა; ამბობენ, რომ იქ ხშირათ არეულება ხდებაო და ვერცერთი მმართებლობა პარიჟში მტკიცეთ ფეხს ვერ მოიდგამსო; და ამიტომ Ჰსურთ, რომ საფრანგეთის რეზიდენცია სადაც ახლა არის, იქვე დარჩეს, ე. ი. Eერსალში. Mთელი პარიჟი და რესპუბლიკელები კი ამის წინააღმდეგ თხოულობენ, რომ საფრანგეთის რეზიდენცია ისევ ამ ქალაქში გადმოიტანონ, რადგან უამისოთ ხალხიც უკმაყოფილოთ დარჩებაო და თვითონ პარიჟის და საფრანგეთისაც ვაჭრობა და წარმოება დაეცემაო. Aმ უკანასკნელების მხარე, როგორც გაზეთში იწერებიან, ახლანდელი რესპუბლიკის პრეზიდენტს, Tიერსაც, უჭირავს. Mრთი Gელგიური გაზეთის კორრესპონდენტი იწერება, Tიერს ისეთი გულით უნდა ისევ პარიჟში გადმოტანა რეზიდენციისა, რომ თუ ნაციონალურმა Კრებამ არ დაეთანხმა ამაზე, სამსახურის თავის დანებებას აპირებსო. Tიერს სხვათა შორის კიდევ იმისთვის Ჰსურს პარიჟში რეზიდენციის გადმოტანა, რომ ამით ის აღუსრულებს ხალხს იმას, რასაც Gონაპარტიელები Ჰპირდებიან, რომელთ პროგრამმაში, „მმართებლობის ფორმაზე მთელი ხალხის კითხვისა და საყოველთაო ამნისტიის გარდა ისიც არის, რომ „საფრანგეთის რეზიდენციათ ისევ პარიჟს გავხდითო.“

Mეორე საგანი, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობენ ახლა საფრანგეთში, როგორც ზევით ვსთქვით, ის სიტყვა არის, რომელიც ამას წინათ Gიმბეტამ წარმოსთქვა Sან-Aენტენში. ნოემბრის 4 (16) Sან-Aენტენში დღესასწაულობდნენ ამ ქალაქისაგან უკანასკნელ ომიანობის დროს მხნეთ თავის თავის დაცვასა და იმ პირების ხსოვნას, რომელნიც ამ დროს აქ დაიხოცნენ. Aმ დღესასწაულზე ქალაქისგან სხვათა შორის Gამბეტაც იყო მოწვეული. Oთავის სიტყვაში, რომელიც აქ წარმოსთქვა Gამბეტამ, ის ამბობდა, რომ ყოველი ფრანცუზი, რომელსაც თავის ქვეყნისთვის ძველი დიდების დაბრუნება Ჰსურს, უნდა სცდილობდეს რესპუბლიკა დამკვიდრდეს.“ Oუმცა რესპუბლიკა ახლაც მტკიცეთ არისო, სთქვა Gამბეტამ, მაგრამ საჭიროა, რომ ნაციონალური Კრება, რომელიც ჩვენი ზნეობით შერყევის დროს არის არჩეული და რომელიც ამის გამო არ არის სრული წარმომადგენელი მთელი საფრანგეთის ხალხისა, საჭიროა, რომ ეს Კრება არ ეწინააღმდეგებოდეს იმ რეფორმებს, Ურომლოთაც ჩვენში რესპუბლიკის დამკვიდრება ძლიერ გაჭირდება.“ Aმ უკანასკნელ დროს, სთქვა შემდეგ Gამბეტამ, კლერიკალური პარტია ისეთ უკმაყოფილებას და მტრობას უცხადებს თავისუფლების პრინციპსა, რომ აუცილებლათ საჭიროა, ჩვენ მღვდლებს სახალხო შკოლებში და სასწავლებლებში ყოველი გავლენა და ზედმოქმედება ჩამოერთვათ.“

Aი ამ სიტყვებმა გააცხარა მონარხიის მომხრე გაზეთები და განსაკუთრებით კლერიკალური პარტია, რომლის აზრით, საფრანგეთს მხოლოთ მაშინ ეღირსება კეთილდღეობა, როდესაც იმის ტახტზე Gურბონის დინასტიის პრინცი დაჯდება და იმის ხალხის აღზრდა პატერებს ჩაუვარდებათ ხელში.

Uარნცუზული გაზეთებიდამ სჩანს, რომ საფრანგეთის პროვინციები ძალიან კმაყოფილი არიან Tიერის პოლიტიკისა; ყოველი მხრიდამ, ყოველი ღენერალური რჩევიდამ მოდის იმას თანაგრძნობისა და მადლობის წერილები რესპუბლიკის ერთგულობისათვის. Oუ ეს მართალია, Gონაპარტიელებს უკანასკნელი იმედიც დაკარგვიათ; თავიანთ მომ-

ხრეებსა და თაყვანისმცემლებს ბონაპარტიელები ადრე საფრანგეთის გაუნათლებელ პროვინციებში პოულობდნენ. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ბონაპარტის დინასტიამ იმდენი უნიჭოება გამოიჩინა და იმდენი უბედურება მიაყენა საფრანგეთს, რომ მართლაც გასაკვირველი არ არის, რომ პროვინციელებმაც გაიგეს, რომ იმპერიისაგან საფრანგეთი არაფერ სიკეთეს არ უნდა მოელოდეს და რესპუბლიკას თანაუგრძნობენ.— საფრანგეთის ეროვნულური რჩევის პრეზიდენტმა, სხდომის გახსნისთანავე წაიკითხა წიგნი, რომელიც იმას ტიერისაგან მოსელოდა. ამ წიგნში სხვათა შორის ტიერი ამბობს:“ ჩემი მეცადინეობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ქვეყანას კარგი დაწყობილობა, ძლიერი არმია, მშვიდობიანობა და თავისუფლება მივანიჭო. უველაზე უფრთ საქებრათ ჩემთვის ის იქნება, და ეს ჩემ ვალდებულებათაც მიმაჩნია, რომ რესპუბლიკა, რომელიც ბორდოში ჩამაბარეს მე, ხელუხლებელათ ჩავაბარო ხალხსა.“ ამ რესპუბლიკის დამკვიდრებაზე ტიერი იმდენს ლაპარაკობს, რომ, ღმერთმანი, იმის გულწრფელობაში ძალიან ეჭვიან კაციც დარწმუნდება...

— კომუნაში გარეული დამნაშავეების რიცხვი სულ 30,000 კაცზე მეტი იყო. ამ ჟამად კიდეე თითქმის 20,000 კაცი დარჩენილა, დანარჩენი გაასამართლეს, ზოგი სრულიად გაამართლეს და ზოგი გაამტყუნეს. ამ ოცი ათასი დამნაშავის საქმეების გასარჩევათ, მგონი, ათი კამისია არის დანიშნული, მაგრამ მაინც, ვინ იცის, ყველას გასამართლებას როდის მოესწრებიან. ამის გამო, ამბობენ, მმართებლობას ჰსურს გამოცხადებაო, რომ, ვინც თავის თავს დამნაშავედ რაცხს, სთქვასო და, დანაშაულობისა დაგვარათ, დავსჯითო. ბრალდებულები ახლა ისეთ ცუდ მდგომარეობაში არიან და იმდენ ხანს დასჭირდებათ სამართლის მოცდა, რომ, ამბობენ, ბევრი იმათგანი დათანხმდება ამაზე და თვითონ გადაწყვეტს თავის ბედსაო.

— მკითხველმა იცის, რომ კომუნის სამხედრო მინისტრმა, ღენერალ ალიუზერემ, რომელიც მოკლული ეგონათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამოჰყო თავი, პარიჟის არეულობის შემდეგ. ახლა სწერენ, რომ შეერთებულ შტატებში ის ვერ მოთავსებულა და მექსიკაში აპირებს წასვლასაო. მეორე მოთავე კომუნისა, გამოჩენილი რევოლიუციონერი ბლანკი დაჭერილია და ვერ'ალში იმყოფება. შარშან 31 ოქტომბრის არეულობაში მონაწილეობის მიღებისთვის, როდესაც ტროშუ და ზოგი სხვა მაშინდელი დროებითი მმართებლობის წევრები დაატუსაღეს, იმას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

გერმანია

ამას წინეთ რუსეთის გარეშე საქმეების მინისტრი, თ. გორჩაკოვი, და გერმანიის კანცლერი, თ. ბისმარკი, შეიყარნენ ერთად ბერლინში. უცხო-ქვეყნელ გაზეთებში, რასაკვირველია, იმ წამსვე დაიწყეს გამოძიება იმაზე თუ—რა საგნებს შეეხენ და რაზედ ჰქონდათ მოლაპარაკება ამ პრუსიისა და რუსეთის პოლიტიკის წარმომადგენლებსაო. ერთი ინგლისური გაზეთი აი რას იწერება ამის თაობაზე: „თთ. გორჩაკოვსა და ბისმარკს ბერლინში ჩრდილოეთი შლეზვიგის თაობაზე ჰქონდათ მოლაპარაკება. მცოდნე პირები ამბობენ, რომ, რადგანაც გერმანიამ ძლიერი ფლოტი გაიჩინა ბალტიის ზღვაში, რუსეთის მმართებლობა სცდილობსო, რომ პრუსიამ პრაგის ტრაქტატი აასრულოსო, რომლის ერთი მუხლი იმაში მდგომარეობს, რომ პრუსიამ დანიას ჩრდილოეთი შლეზვიგი უნდა დაუბრუნოს. ამ ნაირათ, დანიის გაძლიერებითა და ნეიტრალიტეტით რუსეთს ჰსურს თავის მდგომარეობის დამკვიდრება ზღვის მხრით, ჩრდილოეთზე. ერთი სიტყვით, თ. გორჩაკოვს რუსეთისთვის ბალტიის ზღვაზედაც ისეთისავე თავისუფლების მოპოება ჰსურს, როგორიც შავ ზღვაზე მოიპოვა.“

— ამ უკანასკნელ დროს გერმანიის რეიხსტალმა გამოსცა ზოგიერთი კანონები, რომელნიც იქაურ ფრანგების სამღვდელოების მაენებელ მოქმედებასა ავიწროებდენ და ხალხზე გავლენას ამცირებდენ. ამის გამო კათოლიკობა, რასაკვირველია, გაბრაზებულია მმართებლობაზე და პატერები თავიანთ ქადაგებებში ხშირათ ლანძღვენ და ცუდი სიტყვებით იხსენიებენ გერმანიის მმართებლობას. ბავარიის მმართებლობამ ამას წინათ გერმანიის საკავშირო რჩევაში წინადადება შეიტანა, რომ ყოველი მღვდელი, ვინც თავის ქადაგებაში პოლიტიკურ საქმეებს შეეხება და უკადრისი სიტყვებით მოიხსენიებს გერმანიის მმართებლობის პირებს, უნდა დაისაჯოსო. გერმანიის საკავშირო რჩევას ეს წინადადება კანონათ დაუდვია და კიდეც დაუმტკიცებია.

შვეიცარია

ბერნიდამ იწერებიან, შვეიცარიის ნაციონალურმა რჩევამ კანონათ დასდვაო, რომ დღეის შემდეგ შვეიცარიაში სათამაშო სახლები (სადაც ქაღალდს, რულეტკას და სხვ. თამაშობენ) და ლატარეიები აღკრძალული არისო.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სხდომა

წარსული კვირის ხუთშაბათს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში ისეთს საგანზე იყო საუბარი, რომელსაც ღირსია, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

პირველათ უფ. მ უ რ ო მ ც ე ვ მ ა წაიკითხა ქაზბეკის მთაზე (მყინვარზე) მოგზაურობის აღწერა. მაგრამ, მართალი გითხრათ, ამ აღწერაში არა თუ სამეურნეო, ჩვენ საინტერესოც ვერა ვნახეთ რა და ამიტომ აქ ამაზე არას ვიტყვით.

ჩვენი ყურადღება მიიქცია უფ. ს პ ა ს კ ი ს საუბარმა და იმ ბაასმა, რომელიც ამის შემდეგ აღიძრა საზოგადოებაში. უფ. სპასკიმ ილაპარაკა ახალ ვაზის ავათმყოფობაზე, რომელიც ეს ათი წელიწადია საფრანგეთში გამოჩენილა და იქიდამ შვეიცარიაშიაც გავრცელებულა. ეს ახალი ავათმყოფობა, უფ. სპასკის სიტყვით, მდგომარეობს იმაში, რომ ვაზის ძირში, ხანდისხან თითქმის ორ არშინზე მიწაში, ჩნდება ერთ გვარი წვრილი ჭია, რომელიც საშინლათ მრავლდება, სჭამს ვაზის ძირსა და ბოლოს სულ აფუჭებს, ახდენს მთელ ვაზსა. უფ. სპასკიმ მოიყვანა ის საშუალებებიც, რომელთაც ამ ავათმყოფობის წინააღმდეგ ხმაროობენ საფრანგეთში და შვეიცარიაში; ეს საშუალებები არიან: 1) კირის წყლით მოსხმა ვაზის ძირებისა, 2) ისეთი ჭიების მოშენება, რომელნიც ამ ვაზის მაენებელ ჭიებსა სჭამენ და 3) თვითონ ვაზის აჭრა, რომ სხვებს მაინც არ გადაედვას ეს ავათმყოფობაო.

უფ. ს ი ტ ო ვ ს კ ი მ (საზოგადოების სეკრეტარმა) მოახსენა საზოგაოებას, რომ ამისთანა მაენებელი ჭიები ჩვენშიაც 'მენიშნესო; უფ. შერერმა, თფილისის ბოტანიკური ბაღის სწავლულმა მებაღემ, ამ ბაღის ვაზებზე შენიშნა ეს ავათმყოფობაო, და ამიტომ ურიგო არ იქნება, რომ დღეს იმის მოსასპობელ საშუალებებზე მოვილაპარაკოთო.

უ ფ. პ ე ნ ჩ ი ნ ს კ ი მ სთქვა, რომ ამ ნაირივე ჭიები მეც შევნიშნე ჩემ ბაღში, ქუთაისში.

მოლაპარაკენი ბევრნი აღმოჩნდნენ.

ერთმა ვილამაც სთქვა, რომ ყველას ის ემჯობინებაო, ავათმყოფი ვაზები მოიჭრასო; ამით სხვა ჯანმთელები მაინც დაიცვება ავათმყოფობისაგანაო. მაგრამ, რადგან ბაღის პატრონებს ამით ზიანი მიეცემათო, ამიტომ კარგი იქნებაო, რომ „ურთიერთის ზღვის საზოგადოებები“ დაწესდენ ჩვენშიო (Общество взаймнаго страхованія). ამაზედ უთხრეს იმას, რომ, რადგან ეს ავათმყოფობა ჭიისაგან ჩნდება და ჭიის კვერცხები ქარს მოაქვს, ამიტომ ადრე თუ გვიან ხელახლავ გაჩნდება ავათმყოფობაო, და ამ ნაირათ ყველა ბაღების აჭრა დაგვჭირდებაო.

უ ფ. ბ ა ბ ო ვ მ ა სთქვა: „თფილისში არის სახელმწიფო სამაგალითო ბაღი, არის ჩვენი საზოგადოება, რომელსაც წელიწადში რამდენიმე ათი ათასი მანეთი ეძლევა იმისთვის რომ კავკასიის მეურნეობას ხელი მოუწყოს. ჩემი აზრით, ყველას ის ემჯობინება, რომ სახელმწიფო ხარჯით ამ ბაღში გამოსცადონ ეს სხვა და სხვა საშუალებები და რომელიც უფრო გამოსადეგი და პირდაპირი იქნება, იმის ხმარება ურჩიოთ მებაღეებს, თუ სხვაგანაც გაჩნდება ეს ავათმყოფობა. თუ ისინი იტყვიან, რომ ყველაზე უკეთესი საშუალება ავათმყოფი ვაზის აჭრა არის, შეიძლება ბოტანიკური ბაღის ვაზების აჭრა, რადგან იმათ თითქმის არავითარი სარგებლობა არ მოქვთ.

უ ფ. ბ. წ ე რ ე თ ე ლ მ ა შემდეგ გარემოებას მიაქცია საზოგადოების ყურადღება: „შენიშნულია, რომ ყოველგვარი ავათმყოფობა ისეთ მცენარეებს და საზოგადოთ ორგანიზმებს უფრო ეტანება, რომელნიც ცუდ გარემოებებში იზრდებიან, ე. ი. რომელნიც ცუდი ჰავისა, საჭმელისა და ავათმყოფობის წყალობით დასუსტებულნი არიან. ამის გამო, თუ გესურს, რომ ეს ახალი ავათმყოფობა მოესპოთ, ვაზების კარგათ მოვლასა და იმ ავათმყოფობისაგან განთავისუფლებას უნდა ეცადოთ, რომელიც მთელ კავკასიაში ამ ჟამად გავრცელებულია და ამდონ ზიანს აძლევს ჩვენ მეურნეობას. მე ვამბობ ტუკერის ავათმყოფობაზე, იმ სოკოებზე, რომელსაც ჩვენი ხალხი „ნაცარს“ ეძახის. თქვენ ლაპარაკობთ ახლა ისეთ ავათმყოფობაზე, რომლის არსება ჩვენში ჯერ კიდევ საეჭვოა. ის არა სჯობია, იმ ჩვენ დამლუპველ „ნაცარს“ მივაქციოთ ყურადღება, რომლის მოსასპობლათ ბეჯითი საშუალება ჯერაც არ გვიპოვნია?“

უ ფ. ს ი ტ ო ვ ს კ ი მ სთქვა ამაზე: „მართალია, დასუსტებულს მცენარეს უფრო ეტანება ავათმყოფობა; ი'ეთი უხვირო და ცუდი ადგილი ბაღისათვის, როგორიც ბოტანიკური ბაღის ადგილია, მგონი არსად არ იპოება, და ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენში ავათმყოფობა პირველათ იქ გაჩნდა. რაც შეეხება ტუკერის ავათმყოფობას (ნაცარს), ამაზე უნდა ვსთქვა, რომ იმის წინააღმდეგ საშუალება მოძებნილია: ყველა სწავლულები ახლა გოგირდზე გაჩერდნენ; მართლაც, ნაცრისათვის გოგირდისთანა წამალი არ მოიპოება. ეს საშუალება ჩვენ საზოგადოებასაც ბევრჯელ ურჩევია მემამულეებისათვის, მაგრამ არ ვიცით, იმათ ყურამდი არ მიულწევია და არ ვიცით, ყურადღებას არ აქცევენ, ისინი არ ხმაროობენ გოგირდსა.“

ვილამაც სთქვა, რომ გოგირდის ხმარება იმითია გაძნელებულიო, რომ ის ძვირათ ისყიდებაო, ფუთი გოგირდი 4 მანეთად და ერთ აბაზათ ღირსო და ისეთი მემამულეები, რომელთაც თავიანთი ბაღისთვის რამდონიმე ფუთის ყიდვა შეეძლოსთ, ჩვენში იშვიათად მოიპოებაო.

ამის შემდეგ, უფ. ბეგთაბეგოვის წინადადებით, საზოგადოებამ გადაწყვიტა, უფ. სპასკი სესთხოვოთ, დაწერილებით აწეროს ამ ავათმყოფობის ნიშნები და იმის მოსასპობელი საშუალებები და ეს აღწერილობა ქართულს, სომხურს და თათრულს ენაზე გადაეთარგმნოთ, ბროშურათ გამოეცეთ და ხალხს დაურიგოთო. თუ აღმოჩნდება, რომ ეს ახალი ავათმყოფობა ბევრგან არსებულა, მაშინ უფრო თადარიგი [illegible] მიეცეთ იმის მოსასპობელათაო.—

ნარევი

***

რუსეთის რკინის გზების საზოგადოებასა და ნიჟეგოროდის გზის ამშენებელს (ფიტინგოფს) შუა რამდენიმე წელიწადია მას აქეთ, დავა არის ატეხილი, კონტრაქტის დარღვევისათვის. მეიჯარადრებს (ფიტინგოფსა და კომპ.) შ ვ ი დ მ ი ლ ი ო ნ ა დ ჰქონდათ აღებული ნიჟეგოროდის რკინის გზის აშენება; სანამ გზის ორ-მესამედს გაათავებდნენ, მანამ ხუთი მილიონი აღოთ. ორივე მხარე ერთმანეთს აბრალებს კონტრაქტის დარღვევას: საზოგადოება ხუთ მილიონს უჩივის მეიჯარადრეს და ესენი თავის მხრით კიდევ სამ მილიონს ეძიებენ. ამ საქმის თაობაზე იმდონი ქაღალდებია თურმე, რომ ორი ოთახი თავით ბოლომდი გატენილია, და ამ ქაღალდების ერთი ადგილიდამ მეორეზე გადასტანათ ექვსი ურემია საჭირო...

***

ერთ ფრანცუზს უპოვნია აფრიკაში ისეთი ალმასი, რომლის სიდიდე მთელს ქვეყანაში არავის არ უნახავსო. ეს ალმასი, რომლისთვისაც იმის პატრონს „პარიჟი“ დაურქმევია სახელათ, ქათმის კვერცხის ოდენაა თურმე და სამ მილიონ ნახევარ მანეთად დაუფასებიათ. უპოვნია თუ არა ფრანცუზს ეს ალმასი, იმ წამსვე თავის საუნჯით ევროპაში წამოსულა იმის გასყიდლათ.

***

განცხადება

გამოვიდა და ისყიდება თფილისში ალადათოვის, ეფიაჯანცის და ვართანოვის მაღაზიებში და მელიქიშვილის სტამბაში:

წიგნი სიბრძნე სიცრუისა

თქმული

სულხან-საბა ორბელიანისგან

გამოცემა მეორე, სრული

პეტრე უმიკაშვილისა

ფასი ათი შაური

ქუთაისში ისყიდება სვიმონ ჩომახიძისას, პრინცის სტამბაში.

მიღებულია თფილისში და ისყიდება ალადათოვის და სხვების წიგნების მაღაზიებში და მელიქიშვილის სტამბაში:

ჩოანგური

ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლის და სხვა მწერლების ლექსების კრება

გამოცემული

ა ი რ ი ლ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს ა გ ა ნ

ფასი ერთი მანეთი

ისყიდება თფილისში ალადათოვის და ვართანოვის წიგნის მაღაზიებში.

ბავშვების მოვლა

დარიგება ყმაწვილების მოვლისა— თხზულება ინგლისის კოროლევის დოქტორის ქომბისა.

ფასი ათი შაური

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Ноября, 1871 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.